



სრულდება თუ არა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონი?


2008 წლის აგვისტოს ომის და რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, რითიც უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის შეზღუდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე გადაადგილება და ეკონომიკური საქმიანობა.



ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის წესის დარღვევაზე რეგისტრირებული დანაშაული



ოკუპირებულ ტერიტორიაზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობა




სამინისტრომ IDFI-ის არ მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენი პირი იქნა დაკავებული ან რამდენ პირს აეკრძალა ქვეყანაში შემოსვლა კანონის დარღვევის გამო 2009-2016 წლებში.

სამინისტრო ასევე უარს ამბობს, გაასაჯაროს კანონის დამრღვევ უცხოელ თანამდებობის პირთა ე.წ. შავი სია, მათი სიაში შეყვანის თარიღის მითითებით.



2017 წლის მაისში მოსკოვის ყოფილმა მერმა იური ლუჟკოვმა დაბრკოლების გარეშე შეძლო საქართველოში ჩამოსვლა და ქვეყნის დატოვება, მიუხედავად იმისა, რომ 2010 წელს იგი უკანონოდ იმყოფებოდა აფხაზეთში.



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მისი პასუხისმგებლობა არ მიცემა ახსნა შემდეგი გარემოებებით:

- ▶ იური ლუჟკოვი არ ფიქსირდებოდა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის დამრღვევთა მონაცემთა ბაზაში, ე.წ. შავ სიაში;
- ▶ საჯარო წყაროების მიხედვით, იური ლუჟკოვის ოკუპირებულ ტერიტორიებზე კანონის დარღვევით ბოლო ვიზიტი ფიქსირდებოდა 2010 წელს;
- ▶ 2010 წელს არ იყო გამოძიება დაწყებული;
- ▶ 2017 წლისათვის გასული ქონდა 6 წლიანი ხანდაზმულობის ვადა და შესაბამისად, სამინისტრო მოკლებული იყო სამართლებრივ შესაძლებლობას განეხილებინა გამოძიება.



შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2017 წელს იური ლუჟკოვის პასუხისმგებლობა არ მიცემის დასაბუთება მიუთითებს მხოლოდ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის დამრღვევ პირთა აღრიცხვის არაეფექტურობაზე.

ეჭვებს აჩენს ის ფაქტი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ IDFI-ის არ მიაწოდა 2009 წლიდან დღემდე ე.წ. შავ სიაში აღრიცხული თანამდებობის პირების შესახებ ინფორმაცია, მათი სიაში შეყვანის თარიღის მითითებით, შესაბამისად უცნობი დარჩა იყო თუ არა იური ლუჟკოვი შეყვანილი შავ სიაში, როცა მან საზღვარი გადმოლახა. ყოველივე ზემოაღნიშნული აჩენს მნიშვნელოვან კითხვებს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის აღსრულების პროცესში შესაბამისი პოლიტიკური ნების არ არსებობის შესახებ.